განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 იანვარი 2021 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი,შპს აჭარა ჯგუფი“, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნონა ზუბიტაშვილი, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, უფროსი იურიდიული მრჩეველი, ასოცირებული პროფესორი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, კორძაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ჩეკურიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 2012 წლიდან. პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიონალები სამართლის სფეროში, რაც განპირობებულია „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, გააცნობიეროს ცოდნის განახლებული ფარგლები და ხელი შეუწყოს ბაკალავრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვაში.

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, ინგლისური ენის მოდული, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული და პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო

გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 24 და 25 დეკემბერს დისტანციურად, Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

უსდ-ში აკრედიტაციასთან დაკავშირებული ვიზიტი გაგრძელდა 2 დღის განმავლობაში. ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და უსდ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ნემისმიერ საკამათო თუ პრობლემურ საკითხზე მყისიერად რეაგირებს, ამასთან, აგრძელებს პროგრამის დადებითი და ძლიერი მხარეებისთვის დამახასიათებელი პროცედურების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს (ონლაინ რეჟიმში) ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ უსდ-ს რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებს, ადმინისტრაციას, დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ვიზიტი საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა, უნივერსიტეტი ღია იყო თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ მთლიანობაში პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (1.1 და 1.2 პუნქტი შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან;

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (2.1 შესაბამისი; 2.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, 2.3 შესაბამისი, 2.4 შესაბამისი, 2.5 შესაბამისი; 2.6 შესაბამისი)

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (4.1, 4.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, 4.3 შესაბამისი, 4.4 შესაბამისი, კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან)

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (5.1, 5.2 და 5.3 პუნქტი შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან).

გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა რეკომენდაციებისა და რჩევების სახით გამოთქვეს მოსაზრებები.

რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია, საბაკალავრო პროგრამით განისაზღვროს, რა სახის საერთაშორისო დონის სერტიფიკატს მიიჩნევს უნივერსიტეტი „ინგლისური ენა დამწყებთათვის“ სასწავლო კურსების გავლის გათავისუფლების საფუძვლად და ამასთანავე, დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერტიფიკატით უნდა იქნას განსაზღვრული.

- აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე.
- გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების

მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების შესაბამისად.

- სასურველია, „საქართველოს ისტორიის“ სასწავლო კურსი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში მოთავსდეს და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის ფარგლებში შეისწავლოს იმგვარი დისციპლინები, რომლებიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან და საბოლოო ჯამში მიემართება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- მიზანშეწონილია, განხორციელდეს „საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო და დამხარე ლიტერატურის სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში შესაბამისობაში მოყვანა სილაბუსში მითითებულ სავალდებულო და დამხარე ლიტერატურასთან.
- სასურველია, სასწავლო კურსებში „სანივთო სამართალი“, შესავალი სამოქალაქო სამართალში, შესავალი საკონსტიტუციო სამართალსა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, იურიდიული განათლებისთვის მათი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის შედეგები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელ იმგვარ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა, რომლებიც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების, ასევე უნივერსიტეტის გარეთ არსებულ სხვადასხვა აქტივობებში სტუდენტებისათვის მონაწილეობის შეთავაზებისა და მათი ჩართულობის მხარდაჭერით.
- გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.
- სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად.
- პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, ასევე უწყვეტი განათლების სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, უსდ-ს სასურველია გააჩნდეს, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონკრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები.

- ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერებაზე დაყრდნობით, კარგი იქნება თუ გადაიხედება ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ კატალოგში დაცული წიგნის ფონდი და შესაბამისად განახლდება.

- გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, სასურველია გაიზარდოს პროფესეროების რაოდენობა და პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ პროფესორები კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.

- სასურველია, გაიზარდოს უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსი, საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსებისა და ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან ახორციელებს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #680;20.11.2012). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კსუ-ის მისია მიზნად ისახავს შექმნას თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემო ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას. ასევე, სამართლის ფაკულტეტის დებულების მიხედვით, სამართლის ფაკულტეტის მისია შეესაბამება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, სტრატეგიას. მისი მიზანია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური, შრომისა და საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი იურისტი; შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისა და საზოგადოების განვითარების საქმეში წვლილის შეტანისათვის. უსდ-ს ხედვის თანახმად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით (იხ.შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დებულება, გვ. 1). უნივერსიტეტის სტრატეგია უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, საქმიანობის პრიორიტეტებიდან, არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია, რამდენადაც პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი პროცესების გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის შედეგების შეფასების ლოგიკური სქემა,

რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს ყველა შედეგი როგორც მთლიანობაში, ისე პროგრამის განხორციელებისას თითოეულ კომპონენტზე პერიოდულად.

უნივერსიტეტის მიზნების ეფექტურად მიღწევის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმას. სტრატეგიული განვითარების გეგმა გაწერილია შვიდ წელიწადზე და მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევებს/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტურ სერვისებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა. სამოქმედო გეგმა კი გაწერილია სამ წელიწადზე და მასში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

უნივერსიტეტის მიზანი საჯარო და ხელმოსაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ძირითადი და სასწავლო პროცესის შიდა მარეგულირებელი სხვადასხვა რელევანტური დოკუმენტი, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, უნივერსიტეტის განვითარების სამწლიანი და სტრატეგიული განვითარების გეგმა, შინაგანაწესი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი და ა.შ.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგება სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებისაგან, რომლებიც თავისთავად მოიცავენ სამართლის საფუძვლების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულებს, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს, მოდულს უცხოური (ინგლისური) ენა, მოდულს პროფესიული ინგლისური იურისტებისთვის, საუნივერსიტეტო სავალდებულო და საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსების მოდულებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რამდენად დიდია დღევანდელ დღეს მოთხოვნა სამართლის დარგის სპეციალისტებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამაში 2016-2017, 2018-2019 წლებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, ძირითად ცვლილებებს ადგილი ჰქონდა 2019 წლიდან, რომელიც შეეხო ოთხივე მოდულს (კერძო, საჯარო, სისხლი და საერთაშორისო).

კსუ-ის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა პრინციპებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების, აგრეთვე ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ;
- შესძინოს ფართო ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში;

- გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების დასაბუთების, იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი;
- გამოუმუშავოს მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარების, შერჩეული მიდგომის დასაბუთების და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს მშობლიურ ან/და უცხო ენებზე საჭირო ინფორმაციის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და მოძიების, ცოდნის განახლებისა და სწავლის უნარი, ასევე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშაოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2026 წლებისთვის) იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტური თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, იგი წარმოადგენს სამოქმედო გრძელვადიანი გეგმის დამხმარე დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმებს და საფუძვლად უდევს აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. უნივერსიტეტის მიზანი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა და უნივერსიტეტის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხედვა რეალიზდება სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობის ღონისძიებით, თუ სამომავლო გეგმით. მაგალითისთვის, მემორანდუმებია გაფორმებული ვარშავის, ლოძის, ალკალას, პოზნანის, რჟეშოვის, სამხრეთ კორეის უნივერსიტეტებთან.

პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიონალები სამართლის სფეროში, რამდენადაც სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც თავის მხრივ კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, გააცნობიეროს ცოდნის განახლებული ფარგლები, ხელი შეუწყოს ბაკალავრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვაში. რამდენადაც პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, პროგრამის კურსდამთავრებული თავისი

პროფესიული საქმიანობით გარკვეულ წვლილს შეიტანს დარგის განვითარებისა და დახვეწის პროცესზე. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კავშირშია პროგრამების სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დებულება; ○ სამართლის ფაკულტეტის დებულება; ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულება; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი (2018). ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2026 წლებში). ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მემორანდუმები); ○ საერთაშორის კონფერენციები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამამ თავისი არსებობისა და განვითარების ეტაპებზე განიცადა გარკვეული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის მოდიფიცირებები (2016-2017, 2018-2019 სასწავლო წლებში და 2019 წლიდან პროგრამაში განხორციელდა ძირითადი ცვლილებები) პროგრამის დახვეწისა და დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მუდმივად იყვნენ ჩართულნი აკადემიური წრის წარმომადგენლები, ადმინისტრაცია, ყველა ის დაინტერესებული პირი, რომელთაც სხვადასხვა სიბრტყეში შეხება ჰქონდათ სასწავლო თუ კვლევით პროცესთან, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმები, მაგ: 2020 წლის 10 სექტემბრის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #61; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #75, 10.09.2020; უნივერსიტეტმა გაიზიარა მოწვეული გარე ექსპერტის შეფასება (ექსპერტის ანა ფირცხალაშვილის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 2020წ) პროგრამასთან დაკავშირებით. კერძოდ, გარე ექსპერტის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7 წლიან და 3 წლიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. სამოქმედო გეგმაში აისახა პროგრამის განვითარების საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება გამჭირვალე კრიტერიუმებს. შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსში არის ასახული. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ადაპტირებულია დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ცოდნა და გაცნობიერების სტანდარტი ჩაშლილია ხუთ ქვეშედეგად: სტუდენტი აღწერს:

· სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ძირითად პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სტრუქტურას და სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, რომის სამართლის წყაროებს და ინსტიტუტებს;

· სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, საგადასახადო სამართლის წყაროებს და საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;

· კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ცნებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და თავისებურებებს;

· სისხლის სამართლის არსს და პრინციპებს, დანაშაულის არსს და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და თავისებურებებს, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებებს;

· საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების თავისებურებებს.

კურსდამთავრებულს ასევე შეეძლება განსაზღვროს: სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზები და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზები.

უნარის შედეგის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: ახდენს მიღებული ცოდნის საფუძველზე სამართლის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს; ადგენს სამართლებრივ დოკუმენტებს; აანალიზებს და იყენებს სამართლის ნორმებს იურიდიული მოქმედებების განხორციელების მიზნით; შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას ეთიკის ნორმების გათვალისწინებით; აანალიზებს სამართლის სფეროში არსებულ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს, აყალიბებს

დასაბუთებულ დასკვნებს და მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, მშობლიურ ან/და უცხო ენაზე; მოიძიებს სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის შედეგი ჩაშლილია სამ ქვეშედეგად, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით და იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;
- ავლენს ცოდნის განახლების უნარს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირ შესაფასებლად გამოიყენება: სტუდენტების აკადემიური მოსწრება, პრაქტიკების დაცვის შედეგები. შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი დეტალურად არის გაწერილი წარმოდგენილ დოკუმენტში: სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი, (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმი). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. სტუდენტები ასევე იღებენ უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ, რაც ასევე მტკიცდება აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებიდან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სამიზნე ნიშნულია სტუდენტთა 75%.

პსშ შემუშავებულია მომავალი იურისტისთვის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რაც ექნება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. ფაკულტეტმა შექმნა კურიკულუმი, რომელიც აძლევს სტუდენტს საშუალებას, პროგრამის სწავლის ყოველი შედეგისათვის შეიძინოს ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სასწავლო კურსების მიზნებზე დაყრდნობით, რაც გაწერილია თითოეულ სილაბუსში. სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ცხრილში (იხ. აღნიშნული დოკუმენტის გვ.3-5) წარმოდგენილია, თუ სად ხდება თითოელი პროგრამის სწავლის შედეგი - გაცნობა (ა), გაღრმავება (ბ), განმტკიცება (გ).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ასახული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საფუძველზე, ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის, ყველა აქტიური სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და მიღებული შედეგების ანალიზს, სემესტრის დასრულებიდან, ერთი თვის ვადაში (აღნიშნული ასევე ირკვევა ინტერვიუებიდან). აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია გაუსის განაწილების მრუდთან თანხვედრის კონტროლი. გაუსის განაწილება წარმოადგენს

ლექტორისათვის საუკეთესო ინსტრუმენტს, რათა აკონტროლოს თავისი მიდგომის წესი სტუდენტთა შეფასებისას, შეაფასოს სასწავლო კურსის სილაბუსის სირთულის ხარისხი ჯგუფის შესაძლებლობებთან მიმართებაში. გაუსის განაწილება არის საეტალონო განაწილება, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს თითოეული ლექტორი ყოველ აკადემიურ ჯგუფში. როდესაც ჯგუფი აღწევს 100%-იან დადებით მოსწრებას, გაუსის ნორმალურ განაწილებას ჯგუფში შეიძლება, ჰქონდეს ასეთი სახე: 10%-ს - 91-100 ქულა; 25%-ს - 81-90 ქულა; 30%-ს - 71-80 ქულა; 25%-ს - 61-70 ქულა; 10%-ს - 51-60 ქულა. მითითებული ქულობრივი ინტერვალების შესატყვისი პროცენტული მაჩვენებლები პირობითია და დოგმას არ წარმოადგენს. შესაძლებელია სხვა მსგავსი ვერსიების არსებობაც, მაჩვენებლების სათანადო პროპორციული გადანაწილებით. არსებობს რეკომენდაცია, რომ ფრიადების რაოდენობა ჯგუ-ფში არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. პრაქტიკაში გვაქვს აკადემიური მოუსწრებლობის შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტი გამოცდაზე ჩაიჭრება. სასურველია, რომ ასეთი შემთხვევები იყოს ერთეული და მთლიანობაში არ აღემატებოდეს 5-10%-ს. აქ მთავარი ყურადღება ეთმობა შედეგს, რა დონეზეა სასწავლო კურსი ათვისებული სტუდენტთა უმრავლესობის (დაახლოებით 50-60%) მიერ. მისაღებია, თუ იგი აღმოჩნდება 61-80 ქულათა საზღვრებში. (იხ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი, გვ. 3).

აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზანია, უსდ-მ მიიღოს ინფორმაცია ფაკულტეტის სტუდენტთა კონტინგენტის აკადემიური მოსწრების შესახებ და ასევე, მონაცემთა ანალიზის შედეგად მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა, სწავლის შედეგების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესში საჭირო ცვლილებების შეტანა და საბოლოოდ, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების მომზადება.

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე და პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმი;
- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი;

○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება; ○ ელექტრონული სწავლების წესი (დამტკიცებულია კანცლერის 2020 წლის 12 მარტის #01-25 ბრძანებით) ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2020 წლის 10 სექტემბრის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #61; ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #75, 10.09.2020; ○ გარე ექსპერტის (ანა ფირცხალაშვილის) დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 2020წ); ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანია, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი

მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ასევე მობილობის წესით პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულადაა ასახული საბაკალავრო პროგრამაში, ბაკალავრიატის დებულებაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://ciu.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ ბაკალავრიატის დებულება ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების, დამტკიცების, განხორციელების, პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების მარეგულირებელი წესების ამსახველ დოკუმენტს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის (ან მოდიფიცირებული პროგრამის) პროექტს შეიმუშავებს და განახორციელებს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები, რომლებიც წარადგენენ შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს პროგრამის სტრუქტურასა და სილაბუსებთან დაკავშირებით. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან, სამოქმედო გეგმასა და კანონმდებლობასთან და უნდა ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის მოთხოვნებს. დასრულებული პროგრამის პროექტს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით წარუდგენს განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს. საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში საბჭოს მიერ განხილული პროგრამის პროექტი სასწავლო კურსების სილაბუსების პროექტებთან ერთად საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, იგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ამ უკანასკნელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურირების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამამ გაიარა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული პროცედურა და პროგრამა მოდიფიცირებული სახით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა 2020 წლის 10 სექტემბერს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), უნივერსიტეტმა, ასევე, გამოიყენა პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები - პროგრამა შეფასდა ადგილობრივი დარგის ექსპერტის მიერ.

პროგრამის მოდიფიცირებული სახით შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდოლოგია, რომელიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით, მოიცავს 4 ეტაპს:

პირველ, მოსამზადებელ ეტაპზე ხორციელდება პროგრამის შემუშავების მოსამზადებელი საქმიანობა, მათ შორის შრომის ბაზრის კვლევა და სამუშაო ჯგუფის ფორმირება; მეორე ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ახდენს პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზსა და შეფასებას; მესამე ეტაპზე ხორციელდება პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო მეოთხე ეტაპზე ფასდება განხორციელების პროცესი - პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგების შეფასება პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიასთან.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი), სწავლის შედეგებსა (დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი) და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, ინგლისური ენის მოდული, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული და პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი. აღნიშნული მოდულებიდან სავალდებულო კომპონენტებია:

- **სავალდებულო კომპონენტები:**

- ***საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები*** - ჯამში 12 კრედიტი - მოიცავს კომპიუტერული უნარების (3 კრედიტი), წერის უნარებისა (4 კრედიტი) და საქართველოს ისტორიის (5 კრედიტი) სავალდებულო კურსებს. წერის უნარების გარდა, რომელიც ისწავლება მესამე სასწავლო წელს, აღნიშნულ სასწავლო კურსებს სტუდენტი სავალდებულოდ გადის სწავლების პირველ წელს.

- ***სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები*** - ჯამში 148 კრედიტი - ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის გამომუშავებას და მოიცავს სამართლის საფუძვლების (16 კრედიტი), საჯარო სამართლის მოდულის (44 კრედიტი), კერძო სამართლის მოდულის (58 კრედიტი) და სისხლის სამართლის მოდულის (30 კრედიტი) სასწავლო კურსებს, რომლებიც ლოგიკური თანმიმდევრობით ნაწილდება სწავლების სხვადასხვა წელს, ძირითადად პირველი სამი სასწავლო წლის განმავლობაში.

- ***ინგლისური ენის მოდული*** - ჯამში 20 კრედიტი - მოიცავს ინგლისური ენა დამწყებთათვის 5 კრედიტიან ორ სასწავლო კურსს, ჯამში 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი სასწავლო წლისათვის და პროფესიული ინგლისური ურისტებისათვის 5 კრედიტიან ორ სასწავლო კურსს, ჯამში 10 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება მეორე სასწავლო წელს. სტუდენტს, რომელსაც ინგლისურ ენაში ინგლისურის გამოცდა არ აქვს ჩაბარებული და არ აკმაყოფილებს ინგლისური ენის სწავლებისაგან გათავისუფლების კრიტერიუმებს, დამატებით უწევს ინგლისური ენის 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის გავლა. 10 კრედიტის მოცულობის მქონე ინგლისური ენის (ინგლისური ენა დამწყებთათვის) სწავლებისაგან კი საბაკალავრო პროგრამის მიხედვით თავისუფლდება სტუდენტი, რომელიც „უნივერსიტეტს წარუდგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო

დონის სერტიფიკატს“ ან, რომელიც „სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამიდან მობილობით ირიცხება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (იხ. საბაკალავრო პროგრამა, გვ. 13).

- *პრაქტიკული უნარების სავალდებულო კომპონენტი* - ჯამში 20 კრედიტი - მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ 5 კრედიტის მქონე შემდეგ სასწავლო კურსებს: პროფესიული ეთიკა, პრაქტიკული კურსი საჯარო სამართალში, პრაქტიკული კურსი კერძო სამართალში და პრაქტიკული კურსი სისხლის სამართალში. აღნიშნული მოდულის გავლა სტუდენტისათვის სავალდებულოა სწავლების მეოთხე წელს.

➢ **არჩევითი კომპონენტები:**

- *საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები* - ჯამში 10 კრედიტი -აღნიშნული მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული 5 კრედიტიანი სასწავლო კურსებიდან პირველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსი და ჯამში დააგროვოს 10 კრედიტი. სასწავლო დისციპლინები მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტისათვის როგორც სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების, ასევე, ზოგადტრანსფერული უნარების ცოდნის მიღებაზე (ფილოსოფიის საფუძვლები, მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, კულტუროლოგია, კულტურული ანტროპოლოგია, ფქიქოლოგიის საფუძვლები, კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა, პოლონური ენა, ესპანური ენა, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი, ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები).

- *სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები* - ჯამში 30 კრედიტი - მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით სამართლის შესაბამის დარგში - საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის არჩევითი მოდულის ფარგლებში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა და ჯამში დააგროვოს 30 კრედიტი იმგვარად, რომ ერთი არჩევითი მოდულიდან სემესტრში აირჩიოს ორი სასწავლო კურსი. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება სასწავლო გეგმის მიხედვით. გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კურსის წინაპირობები და სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა.

ამდენად, სავალდებულო კომპონენტების სასწავლო კურსების ჯამური მოცემულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი და მისი ინტერესების შესაბამისად მიიღოს ცოდნა. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურ ურთიერთკავშირია. თუმცა, პროგრამის შემადგენელ ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებებს:

1. *ინგლისური ენის მოდული:* როგორც აღინიშნა, ინგლისური ენა დამწყებთათვის 5 კრედიტიანი ორი სასწავლო კურსის (ჯამში 10 კრედიტი) სწავლებისაგან სტუდენტის გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველია სტუდენტის მიერ უნივერსიტეტისათვის ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო დონის სერტიფიკატის წარდგენა. მიზანშეწონილია, საბაკალავრო პროგრამით განისაზღვროს, რა სახის საერთაშორისო დონის სერტიფიკატს მიიჩნევს უნივერსიტეტი ამ საფუძვლის ფარგლებში მისაღებად და ამასთანავე, აღინიშნოს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერტიფიკატით უნდა იქნას განსაზღვრული.

2. *საქართველოს ისტორიის სწავლება საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში*. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოდულში სასწავლო კურსების განსაზღვრა საუნივერსიტეტო თავისუფლების ფარგლებში ჯდება, არ იკვეთება 5 კრედიტის მქონე საქართველოს ისტორიის უმაღლესი განათლების საფეხურზე სავალდებულოდ სწავლების საჭიროება იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული საგანი სავალდებულოდ ისწავლება ზოგადი განათლების საფეხურზე. შესაბამისად, სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში მოთავსდეს და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის ფარგლებში შეისწავლოს იმგვარი დისციპლინები, რომლებიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან და საბოლოო ჯამში მიემართება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

3. *სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები:* მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით „ინტელექტუალური სამართალი“, რომელიც პროგრამის აღნიშნული მოდულიდან ამოღებული იქნა 2019 წელს) სწავლება განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს სტუდენტებისათვის, რომელთაც ამ სფეროს მიმართ ინტერესი გააჩნიათ. განსაკუთრებით, აღნიშნული საგნის სწავლება მიზანშეწონილია საქპატენტში პრაქტიკის გავლის სურვილის მქონე სტუდენტებისათვის იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის მიმდინარეობს მაგისტრატურის სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის ამსახველი პირობების შესაბამისი მემორანდუმის გაფორმების პროცესი (მემორანდუმი ხელმოწერილია უნივერსიტეტის მხრიდან, მისი გაფორმების დასრულება დადასტურდა საქპატენტის წარმომადგენლის მიერ ინტერვიუს დროს). მიუხედავად იმისა, რომ აქტიური პრაქტიკის გავლა სტუდენტის მიერ ბაკალავრიატის საფეხურზე არ ხდება და მას უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კურსის შეთავაზება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მეტად დააინტერესებს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე და ინტელექტუალური საკუთრების სამართლით დაინტერესებულ სტუდენტს იმავე უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მეორე

საფუხერზე გააგრძელოს სწავლა იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტი მას საქპატენტში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას მისცემს. კერძო სამართლის მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებს სასურველია, პროგრამამ არჩევითი საგნის სახით შესთავაზოს საარბიტრაჟო სამართალი, რომელიც თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში განსაკუთრებით აქტუალურია. ბიზნეს ტრანზაქციებში, განსაკუთრებით, საერთაშორისო ტრანზაქციებში, სულ უფრო მეტად ხდება საარბიტრაჟო დათქმების განსაზღვრა/მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებები მხარეთა შორის წარმოშობილი დავების არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი შეთანხმებები და საარბიტრაჟო წარმოება განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, სასურველია, შესაბამისი ინტერესის მქონე სტუდენტს, ჰქონდეს აღნიშნული საგნის სწავლის შესაძლებლობა.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების (კომპეტენციათა) რუკა. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, მისი თანმიმდევრობა - „მარტივიდან რთულისკენ“ და თეორიულიდან უფრო პრაქტიკულისკენ განვითარება შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- კურიკულუმი
- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (ოქმები, წარდგინება, გადაწყვეტილებები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, გარე ექსპერტის შეფასება, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი)
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, საბაკალავრო პროგრამით განისაზღვროს, რა სახის საერთაშორისო დონის სერტიფიკატს მიიჩნევს უნივერსიტეტი „ინგლისური ენა დამწყებთათვის“ სასწავლო

კურსების გავლის გათავისუფლების საფუძვლად და ამასთანავე, დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერტიფიკატით უნდა იქნას განსაზღვრული.მიზანშეწონილია, საბაკალავრო პროგრამით განისაზღვროს, რა სახის საერთაშორისო დონის სერტიფიკატს მიიჩნევს უნივერსიტეტი „ინგლისური ენა დამწყებთათვის“ სასწავლო კურსების გავლის გათავისუფლების საფუძვლად და ამასთანავე, დადგინდეს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე, რომელიც ამ სერტიფიკატით უნდა იქნას განსაზღვრული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით. ○ სასურველია, საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში მოთავსდეს და სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის ფარგლებში შეისწავლოს იმგვარი დისციპლინები, რომლებიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან და საბოლოო ჯამში მიემართება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურიკულუმის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით ბაკალავრიატის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსები მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში ფუნდამენტური საკითხების მომცველ სასწავლო კურსებსა და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ამასთან არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ შესაბამისი ცოდნა. სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულის მიუხედავად, რამდენიმე სასწავლო კურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებებს: *საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში* პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილში მითითებულია: „სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლებში შეძლებს დამოუკიდებლად განახორციელოს მეწარმე სუბიექტის პარტნიორისა და ხელმძღვანელის ფუნქციები“. მიზანშეწონილია, სილაბუსის აღნიშნულ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში აქცენტირება იურისტის და არამხოლოდ მეწარმე სუბიექტის პარტნიორის/ხელმძღვანელის პერსპექტივიდან. ამავე სილაბუსში, დამხმარე ლიტერატურაში მითითებული ლიტერატურა (ა. ქირია, „საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში“, წიგნში, „საკორპორაციო სამართლის კრებული“, ტომი 1, თბ.,

2011;) პირველ თემაში მითითებულია სავალდებულო ლიტერატურად. ანალოგიურად, მე-7 თემაში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია დ. მაისურაძე, „სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (აშშ-სა და საქართველოს სამართლის მაგალითზე), წიგნში, „საკორპორაციო სამართლის კრებული“, ტომი 1, 2011; 5. გ. მახარობლიშვილი, „კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი“, თბ., 2015; რომელიც, თავის მხრივ, იდენტიფიცირებულია როგორც დამხმარე ლიტერატურა. შესაბამისად, სავალდებულო და დამხარე ლიტერატურა სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში შესაბამისობაშია მოსაყვანი სილაბუსში მითითებულ სავალდებულო და დამხარე ლიტერატურასთან.

სანივთო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში - სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. იმის გათვალისწინებით, რომ სანივთო სამართალი სავალდებულო და ერთ-ერთი ფუნდამენტური საგანია, სასწავლო კურსის სწავლების შედეგად სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხი. ანალოგიურად, შესავალი სამოქალაქო სამართალში, შესავალი საკონსტიტუციო სამართალსა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, იურიდიული განათლებისთვის მათი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია, სასწავლო კურსის შედეგები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, განხორციელდეს საკორპორაციო სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო და დამხარე ლიტერატურის სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში შესაბამისობაში მოყვანა სილაბუსში მითითებულ სავალდებულო და დამხარე ლიტერატურასთან.
- სასურველია, სასწავლო კურსებში სანივთო სამართალი, შესავალი სამოქალაქო სამართალში, შესავალი საკონსტიტუციო სამართალსა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, იურიდიული განათლებისთვის მათი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის შედეგები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის დარგობრივი მახასიათებლისა და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისად განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას როგორც სასწავლო კურსებში „ჩაშენებული“ პრაქტიკული კომპონეტების, ასევე პრაქტიკული სასწავლო კურსების მეშვეობით. სასწავლო გეგმის შესაბამისად სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარება წარმოებს საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლისას სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის მიღების პარალერულად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით და სწავლების მეოთხე წელს სრულდება სავალდებულო პრაქტიკული კურსებით საჯარო, კერძო და სისხლის სამართალში პროფესიული ეთიკის სასწავლო კურსის სწავლებასთან ერთად.

აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი ახდენს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განმტკიცებას სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების, სამართლებრივი აქტების მომზადებისა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის გზით. ამასთან, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სათანადოდ მოწყობილი იმიტირებული პროცესებისათვის განკუთვნილი სივრცე, სადაც ამ პროცესების ჩატარებაა შესაძლებელი. სხვადასხვა პანელთან ინტერვიუს შედეგებით (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგებით) გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ე.წ. კურიკულუმის გარეთ აქტივობებში, სხვადასხვა იმიტირებულ პროცესებში და ამ მხრივ სტუდენტებს გააჩნიათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით მეტ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობისათვის. ინტერვიუს შედეგებით, ასევე, დასტურდება ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ყოველწლიურ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესაძლებლობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელ იმგვარ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა, რომლებიც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების, ასევე უნივერსიტეტის გარეთ არსებულ სხვადასხვა აქტივობებში სტუდენტებისათვის მონაწილეობის შეთავაზებისა და მათი ჩართულობის მხარდაჭერით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს და სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს. სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სასწავლო პროცესში სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ისეთი მეთოდებით, როგორიცაა, ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და პრაქტიკული მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; წერითი მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს,

უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ პროგრამა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსის სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების სისტემა თანხვედრაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

სტუდენტთა შეფასების სისტემა გაწერილია სამართლის საბაკალავრო პროგრამასა და სტუდენატთათვის განკუთვნილ სამახსოვრო ბარათში. შეფასება ძირითადად ხდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებების დაჯამებით, ასევე, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასებებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, როგორიცაა, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, საშინაო დავალება.

უსდ-ში მოქმედებს „საგამოცდო ცენტრის დებულება“, რომლის მიზანია უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა. სტუდენტთა საბოლოო შეფასების მაქსიმალური ზღვარია 100 ქულა. შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია იმიტირებულ სასამართლო პროცეპსში, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შედეგად. შეფასების თითოეულ სახეს თავისი პროცენტული წილი ენიჭება. შუალედურ შეფასებებში, როგორიცაა პრეზენტაცია, რეფერატის მომზადება, აქტიურობა და ა.შ. სტუდენტს საბოლოო ჯამში 40 ქულის დაგროვება შეუძლია, შუალედური გამოცდის შეფასება კი განისაზღვრება 20 ქულით. დასკვნითი გამოცდა კი ფასდება 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაგროვებული აქვს მინიმუმ 25 ქულა, დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 16 ქულის მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსის დახურვისთვის არასაკმარისი ქულის მოგროვებისას, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმ შემთხვევაში თუ:

. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით;

· შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი;
საპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა, წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება და მოიპოვა რექტორის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში, შუალედური შეფასებებით მოპოვებული ქულების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 25 -ისა.
ასევე, სტუდენტს შეუძლია შეუალედური და/ან დასკვნითი გამოცდის აღდგენა, რომლის წინაპირობებიც დაწვრილებითაა განსაზღვრული სტუდენტთათვის განკუთვნილ სამახსოვრო ბარათში. ამავე დოკუმენტშია გაწერილი შეფასების გასაჩივრების წესი.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად:

დადებით შეფასებად ითვლება:

(A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფით შეფასებად ითვლება:

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერიტეტში მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი, პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმებია ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა და ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა. სალექციო კურსის შეფასების ფარგლებში შექმნილ წერით დავალებებში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, ლექტორი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით გააუქმოს ნაწერი შეფასების გარეშე და ამის შესახებ აცნობოს ფაკულტეტის დეკანატს, საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის შემთხვევაში კი, ნაშრომის აღმომჩენი ვალდებულია აცნობოს სამართლის ფაკულტეტის დეკანს. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ავტორს უფლება აქვს გაითხოვოს ნაშრომი გადასამუშავებლად და შემდეგ სემესტრში წარადგინოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სულაბულესი
- სამახსოვრო ბარათი

პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია სტუდენტთათვის განკუთვნილი სამახსოვრო ბარათი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სწავლის პროცესთან და გამოცდებთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება, გამოცდის აღდგენაზე გასვლის წინაპირობები, გასაჩივრების მექანიზმი, პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ასევე, სამახსოვრო ბარათის საშუალებით სტუდენტები ეცნობიან შესასრულებლად სავალდებულო პირობებსა და უსდ-ს მიერ მათთვის კანონიერების ფარგლებში დაწესებულ აკრძალვებს. სწავლის დაწყების წინ სტუდენტებს უტარდებათ შეხვედრა/კონსულტაცია სწავლის პროცესთან დაკავშირებით. ასევე, სტუდეტებთან სემესტრულად იმართება საკონსულტაციო შეხვედრები. უსდ-ში მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა „გონი“. პლატფორმაზე სტუდენტს შექმნილი აქვს საკუთარი პროფილი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სამახსოვრო ბარათი, სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია, ლექტორის მიერ მიწოდებული მასალის ნახვა, ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, აკადემიური მოსწრების ნახვა. სტუდენტებსა და აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე, უსდ-თან უკუკავშირი ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ აქტიური გამოკითხვების მეშვეობით. სტუდენტები ჩართულნი არიან უსდ-ს მიერ შემოთავაზებულ გამოკითხვებში, ამავდროულად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სტუდენტთა ნდობის

მოსაპოვებლად შეიმუშავა უკუკავშირის მეთოდი ერთგვარი ყუთის მეშვეობით, რომელშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოათავსონ საკუთარი მოსაზრებები, წინადადებები, პრეტენზიები და ა.შ., რაც სტუდენტთათვის უფრო მეტ ანონომურობის განცდას ტოვებს.

უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას. კარიერული მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობას. სტუდენტებს და ასევე, კურსდამთავრებულებს ელ.ფოსტის მეშვეობით ეგზავნებათ გამოცხადებული ვაკანსიები თუ სტაჟირების პროგრამები. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აქტიურად სარგებლობენ შეთავაზებული წინადადებებით და სტუდენტები გადიან სტაჟირებას/პრაქტიკას სხვადასხვა დაწესებულებაში.

უსდ-ს სამართლის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ იურიდიულ კლინიკასთან დაკავშირებით, მათი თქმით, პრაქტიკული თვალსაზრისით, საკმაოდ დიდ ცოდნას იძენენ.

უსდ-ში მოქმედებს „განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლების სპეციალური პირობების შექმნის წესი“. აღსანიშნავია, უნივერსიტეტის დამოკიდებულება. სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თუ რომელიმე სტუდენტს პრობლემა ექმნება, უსდ მზადაა დახმარება აღმოუჩინოს. მაგალითად, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ბრაილის შრიფტით ატვირთული სასწავლო მასალის წაკითხვა რთული იყო, დაუკავშირდა უსდ-ს ადმინისტრაციას და პრობლემა დაუყოვნებლივ აღმოუფხვრეს. ასევე, იგივე სტუდენტი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული წინადადებით დაინტერესდა კარიერული თვალსაზრისით და ერთ-ერთ დაწესებულებაში დასაქმდა.

უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის სურვილი გაითვალისწინოს სტუდენტთა საჭიროებები და შეძლებისდაგვარად, დახმარება აღმოუჩინოს მათ. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პერიოდში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სტუდენტები, რომლებიც არ ფლობდნენ კომპიუტერს, უზრუნველყვეს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული რესურსის მეშვეობით, სასწვალო პროცესის ხელმისაწვდომობის მიზნით.

ასევე, აღსანიშნავია, უსდ-ს დამოკიდებულება და მხარდაჭერა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან. რადგან ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხშირია ელ.ენერგიის შეწყვეტა, პრობლემურია ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, იქ მყოფ სტუდენტებს ხელი ეშლებათ მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში. ამიტომ, უსდ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, პედაგოგები დამატებით ატარებენ ამ სტუდენტებისთვის ლექციებს. ასევე, ხელისშემშლელი პირობები თუ დაემთხვა შუალედურ ან დასკვნით გამოცდას, უსდ-ს ადმინისტრაცია მათთვის სხვა დროს ნიშნავს გაცდენილ გამოცდას, ასევე ხდება სემინარებისა და სხვა აქტივობების აღდგენაც.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გამოცდის ჩატარების მექანიზმების, შეფასების, შედეგების გასაჩივრების შესახებ. უსდ-ში მოქმედებს საგამოცდო ცენტრის დებულება, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე.

პანდემიის პირობებში სწავლება-სწავლის ონლაინ პლატფორმაზე გადასვლის შემდეგ, სტუდენტებისთვის მასალის მიწოდებას სასწავლო კურსის პედაგოგი უზრუნველყოფს, ძირითადად უნივერსიტეტის მიერ გაციფრულებული მასალით, რისთვისაც ონლაინ პლატფორმა „გონი“ გამოიყენება. ლექციის მოსმენა სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს სისტემაში არსებული ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით. ინტერაქციული ლექციის დროს სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პირდაპირ რეჟიმში ჩაერთოს ლექციას და დასვას კითხვები. „ელექტრონული სწავლების წესით“ განსაზღვრულია პერსონალური ინფორმციის დაცვის პირობები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი, ეს წესი აღწერილია სტუდენტთათვის განკუთვნილ სამახსოვრო ბარათში, რომელიც სწავლის დაწყების წინ სტუდენტს ეგზავნება.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პერსონალის განვითარებისთვის განკუთვნილი ღონისძიებების, კონფერენციების, ტრენინგების ამსახველი მასალები, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტთათვის განკუთვნილი ღონისძიებებიც, ამიტომ სტუდენტთათვის განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა მოხდა ამ დოკუმენტებიდან. დოკუმენტებში ძირითადად ასახულია 2018-19 წლების ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები), 2018-19 წლები დატვირთულია გასვლითი ტურებითა და ტრენინგებით, 2018-20 წლებისთვის კი ორი კონფერენციაა აღნიშნული, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ორივე მათგანი იყო სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია და არ არის უშუალოდ სამართლის პროგრამასთან დაკავშირებული. 2020 წლისთვის ჩატარებული ღონისძიებები სიმცირით გამოირჩევა, არც სტუდენტებს აღუნიშნავთ ტრენინგების სიმრავლე ან კონფერენციებში მონაწილეობის ფაქტები. გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.

გასაუბრებისას გაირკვა, რომ სტუდენტთა სურვილია მათთვის უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის შეთავაზება და მონაწილეობის მიღება. საუნივერსიტეტო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებული წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს 2017 წლის შემდეგ გაცვლითი პროგრამით არ უსარგებლიათ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან უსდ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იგეგმება გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გაფართოება. კარგი იქნება, უნივერსიტეტი ამ

კუთხით აქტიურად თუ იმუშავებს დ სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად (მაგ: უცხო ენის სწვლების გაძლიერება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის ფაკულტეტის დებულება o უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი o სამახსოვრო ბარათი o პერსონალთა განვითარების ღონისძიებები/კონფერენციები o საგამოცდო ცენტრის დებულება o ელექტრონული სწავლების წესი o გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან. უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.ciu.edu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის * გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას. * სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უსდ-ს დამოკიდებულება სტუდენტთა საჭიროებების მიმართ, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პირობებში. სტუდენტები, რომლებიც არ ფლობდნენ კომპიუტერს, უზრუნველყვეს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული რესურსის მეშვეობით, სასწვალო პროცესის ხელმისაწვდომობის მიზნით.

○ აღსანიშნავია უსდ-ს დამოკიდებულება განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტების მიმართ. მაგალითად, ერთ-ერთი სტუდენტისთვის ბრაილის შრიფტით ატვირთული სასწავლო მასალის წაკითხვა რთული აღმოჩნდა ხარვეზის გამო, დაუკავშირდა უსდ-ს ადმინისტრაციას და პრობლემა დაუყოვნებლივ აღმოუფხვრეს. ასევე, იგივე სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული წინადადებით დაინტერესდა კარიერული თვალსაზრისით და ერთ-ერთ დაწესებულებაში დასაქმდა.

○ უსდ-ს დამოკიდებულება და მხარდაჭერა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან. რადგან ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხშირია ელ.ენერგიის შეწყვეტა, პრობლემურია ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, იქ მყოფ სტუდენტებს ხელი ეშლებათ მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში. ამიტომ, უსდ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, პედაგოგები დამატებით ატარებენ ამ სტუდენტებისთვის ლექციებს. ასევე, ხელისშემშლელი პირობები თუ დაემთხვა შუალედურ ან დასკვნით გამოცდას, უსდ-ს ადმინისტრაცია მათთვის სხვა დროს ნიშნავს გაცდენილ გამოცდას, ხდება სემინარების, აქტივობების აღდგენა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში მოქმედებს აკადემიური თანამდებებობის დაკავების წესი, რომლის მიხედვით აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ღია კონკურსის წესით. უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი. კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 პედაგოგი, აქედან 20 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს (რომელთაგან 19 არის აფილირებული), ხოლო 18 - მოწვეული ლექტორი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მსგავსი თანაფარდობა პროგრამის მდგრადობისთვის დადებითი მნიშვნელობისაა. თუმცა, მეორე მხრივ, პერსონალის თანაფარდობა არსებული სტუდენტების ჯამურ რაოდენობასთან არის 38/456. ასევე აკადემიური პერსონალიდან წარმოდგენილია: პროფესორი - 1 (სისხლის სამართალი), ასოცირებული პროფესორი - 12, ასისტენტ პროფესორი -5, ასისტენტი - 2. სასურველია გაიზარდოს პერსონალის, განსაკუთრებით პროფესორების რაოდენობა. პროგრამაზე დადებითი გავლენა ექნება, თუკი მის განხორციელებაში ასევე ჩართული იქნება პროფესორი კერძო და პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით.

უდს-ს მიერ პროგრამისთვის შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ასევე აკადემიური პერსონალის რანგირების წესი (შემდგომში „რანგირების წესი“/ „წესი“), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ასევე განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დატვირთვის საკითხებს. წესი ძალაში შევიდა 2018 წლის პირველ სექტემბერს და მოქმედებს ახლადმიღებული აკადემიური პერსონალის მიმართ (მე-9 მუხლი). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა, გარდა საკონტაქტო საათებისა, ასევე მოიცავს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, კონსულტაციებსა და სამეცნიერო საქმიანობას. აღნიშნული დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს აფილირებული აკადემიური პერსონალის სავალდებულოდ შესასრულებელ სამეცნიერო საქმიანობას. დოკუმენტით დგინდება, რომ აკადემიურ პერსონალს საანგარიშო წლის განმავლობაში მოეთხოვება აქტივობა ამავე წესის დანართით გათვალისწინებული სამეცნიერო აქტივობისთვის მინიჭებული ქულების შესაბამისად. მაგალითად, პირველი რანგის ასოცირებულ პროფესორს მოეთხოვება წლის განმავლობაში 25 ქულიანი აქტივობის განხორციელება, ხოლო მეორე რანგის აფილირებულ პროფესორს 15 ქულიანი აქტივობის განხორციელება.

რანგირების წესის მე-9 მუხლის მიხედვით:
„ 1. აღნიშნული წესი ძალაში შედის 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან და მოქმედებს ახლად მიღებულ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.
2. აკადემიური პერსონალი, რომელთანაც უკვე არსებობს შრომითი ხელშეკრულება, ამ წესის ამოქმედების შემდეგ ჩაითვალოს II რანგის ხელშეკრულების ფარგლებში სახელფასო ანაზღაურების ცვლილების გარეშე.“
აღნიშნული ორი პუნქტის საფუძველზე, გაუგებარია, რანგირების წესის მოქმედების სფეროში რატომ ექცევა მხოლოდ ახლად მიღებული აკადემიური პერსონალი. ამასთან, აკადემიური პერსონალის cv-ით არ დგინდება, რომ ძველი პერსონალის მხრიდან ხდება რანგირების წესით დადგენილი სავალდებულოდ შესასრულებელი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, რომლის CV-შიც 2016 წლის შემდგომ (აქედან ბოლო 2 წელი უნდა იქნეს მიჩნეული საანგარიშო წლად რანგირების წესის მიზნებისათვის) არ ფიქსირდება პუბლიკაცები და კვლევებში მონაწილეობა, ასევე სხვა ტიპის აქტივობა, რომელიც თავის მხრივ, გათვალისწინებულია რანგირების წესის დანართით. აღნიშნულმა პროფესორმა უსდ-ში საქმიანობა დაიყო 2009 წელს (ე.ი რანგირების წესის ამოქმედებამდე) შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2018 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებულ პერსონალთან მიმართებით წარმოდგენილი რანგირების წესით დადგენილი სავალდებულო შესასრულებელი სამეცნიერო საქმიანობის დატვირთვის მოთხოვნა არ ვრცელდება. ამდენად, რანგირების წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წლის განმავლობაში სავალდებულოდ შესასრულებულ სამეცნიერო საქმიანობას არ აქვს სავალდებულო ხასიათი წესის ამოქმედებამდე დასაქმებული მიმდინარე პერსონალისთვის. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, ქმნის არათანაბარ მდგომარეობას პერსონალს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, გავლენას ახდენს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მოტივაციაზე. იმ პირთა წრისათვის, რომელზეც ვრცელდება წესის მოქმედება, გარკვეული მოცულობის სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენს წლის განმავლობაში სავალდებულო შესასრულებულ საქმიანობას და დაკავშირებულია წახალისების მექანიზმთან, ხოლო იმ პირთა წრისათვის, რომლებზეც არ ვრცელდება, წესით გათვალისწინებული სავალდებულო შესასრულებული სამეცნიერო საქმიანობა არც სავალდებულო ხასიათისაა და არც წახალისების მექანიზმთან არის დაკავშირებული. ახალ და ძველ აკადემიურ პერსონალთან მიმართებით ამგვარი განსხვავებული მიდგომა უწყვეტ სამეცნიერო საქმიანობასთან მიმართებით არ შეიძლება

განხილული იქნეს კარგ პრაქტიკად. თანაბარი მიდგომა, მოითხოვს, რომ რანგირების წესით გათვალისწინებული როგორც ვალდებულებები, ასევე ბენეფიტები თანაბარად ვრცელდებოდეს როგორც წესის ძალაში შესვლის შემდგომ, ასევე წესის ძალაში შესვლამდე დასაქმებულ პირებზე.
უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიურების შედეგად, დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ ფუნქციებთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას. კერძოდ, პერსონალის განათლება და აკადემიური საქმიანობის გამოცდილება შესაძლებელს ხდის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება, მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებითა და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება განათლებით, აკადემიური საქმიანობის გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით; ასევე ვიზიტის შედეგად, დადგინდა რომ პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის სამსახურთან და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროგრამას ემსახურება 3 ადმინისტრაციული და 6 დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ მოვალეობებთან. ინტერვიურების დროს, უსდ-ს წარმომადგენლების მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ გარდა 9 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა, სტუდენტების საჭიროებებს ასევე ემსახურებიან, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლები და ხარისხის სამსახურის თანამშრომლები. სტუდენტების მხრიდან ინტრევიურების დროს აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან კომუნიკაციისას რაიმე ტიპის პრობლემებს არ აწყდებიან და აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ მათ როგორც პირდაპირი, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის რანგირების წესი
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის CV
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- უსდ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, სასურველია გაიზარდოს პროფესეროების რაოდენობა და პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ პროფესორები კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში დანერგილია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასების პრაქტიკა. პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას და ანალიზს ახორციელებს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, ხოლო სასწავლო საქმიანობის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ახორციელებს სასწავლო საქმიანობის შეფასებას თითოეული პროგრამის ფარგლებში სპეციალობის, მინიმუმ 5 სავალდებულო სასწავლო კურსის შეფასების გზით. აღსანიშნავია, რომ შეფასების დაწყებამდე უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის ხდება შეფასების კრიტერიუმებისა და საჭიროებების გაცნობა. შეფასების მიზნებისთვის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების ლექციაზე დასწრება ხდება პერსონალისთვის წინასწარ შეტყობინებით. შეფასება ტარდება სამუშაო გეგმის შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ სტუდენტის და კურსდამთავრებულის გამოკითხვის გზით, თავის მხრივ, სამუშაო გეგმა, სასწავლო წლის დასაწყისში შეთანხმებულია უსდ-ს რექტორთან;

შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედგენილი ფორმის შესაბამისად. შეფასების შედეგების გაცნობა პერსონალისთვის ხდება პირადად და ინდივიდუალურად. შესაბამისად, შეფასების შედეგები კონფიდენციალურია.

შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება. რეკომენდაციები გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ, ასევე აკონტროლებს ხარვეზების გამოსწორებას. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე შეიძლება დაევალოს შესაბამისი შეფასებული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების მიზეზების გამოკვლევა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია შეისწავლოს დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში (დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 12 ივნისის #02-206 ბრძანებით) ასევე გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის აღნიშნული ვალდებულება

აღსანიშანვია, რომ აღნიშნული პროცედურის გარდა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ასევე ახორციელებს ფაკულტეტის დეკანიც, ხარისხის სამსახურის მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და ფორმების შესაბამისად.

შეფასების შედეგები, გარდა უშუალოდ გამოვლენილი საჭიროებების აღმოფხვრისა, ასევე გამოიყენება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პერსონალის წახალისებისათვის. უსდ-ს მიერ შემუშავებულია აკადემიური პერსონალის რანგირების წესი, რომლის მე-8 მუხლი ითვალისწინებს სამეცნიერო საქმიანობისთვის დანამატს, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, რანგირების წესი ვრცელდება ახლადმიღებულ აკადემიურ პერსონალთან მიმართებით.

პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას და ანალიზს ახორციელებს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, შეფასება ხორციელდება „პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის (თვითშეფასების ფორმა)“ საფუძველზე. რანგირების წესის შესაბამისად, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ახლადმიღებულ

აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, თვიშეფასების ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის 5-25 დეკემბრამდე.
უსდ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებისა და აქტივობების განხორციელებას.
უსდ-ში ხელმისაწვდომია რამდენიმე საგრანტო პროგრამა სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად. მათ შორის ფუნდამენტური კვლევების გრანტები, მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსი და სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომლის მიზანია პერსონალის წახალისება აქტიურო სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.
რაც შეეხება პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მხარდაჭერას:
თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ისევე, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიურების შედეგად, ირკვევა რომ აკადემიური პერსონალის ხელშეწყობისა და სამეცნიერო აქტივობის გაზრდის მიზნით უსდ ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს, მათ შორის, კონფერენციებს, საგრანტო პროექტებში თანადაფინანსებით მონაწილეობას, აფილირებული აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯების დაფარვას იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ფაკულტეტის ისევე როგორც პროგრამის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული საგრანტო თანადაფინანსების ხარჯი, რაც სავარაუდოდ, ფინანსდება სხვა წყაროებიდან.
პერსონალის სამეცნიერო აქტიურობის გაზრდა, თავად უსდ-ს მხრიდან დასახელდა გასაუმჯობესებელ მხარედ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს მიერ არამხოლოდ ფინანსური რესურსის უზრუნველყოფისა თუ ფინანსური წახალისების გზით მოახდინოს პერსონალის უწყვეტი სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, არამედ უსდ ასევე მუშაობდეს აკადემიური პერსონალის მხრიდან ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში თუ პერსონალის მხრიდან მაინც არ ხდება უსდ-ს მიერ შექმნილი შესაძლებელობების გამოყენება, პროგრამა უზრუნველყოს ისეთი აკადემიური პერსონალით, რომელთა რეჟიმი თუ მოტივაცია, საშუალებას აძლევს მათ, განახორციელონ სამეცნიერო აქტიურობა უწყვეტად უნივერსიტეტის მონაწილეობით.
როგორც ზემოთ აღინიშნა, უსდ პერსონალის განვითარების კუთხით ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს, თუმცა საჭიროა, საბაკალავრო პროგრამის პერსონალის უწყვეტ პროფესიულ და სამეცნიერო განვითარებაში უდს-ს აქტიური თანამონაწილეობა და ამ მიზნით უფრო მრავალფეროვანი და პერსონალის საჭირობებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა.
თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს უნივერსიტეტმა დააფინანსა ჯამში 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორის სამეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ, ასევე 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორის სამეცნიერო მივლინება დაფინანსდა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან თანამონაწილეობით. 2019 წელს დაფინანსდა 3 აფილირებული პროფესორის სამეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ (თვითშეფასების ანგარიში გვ.45).
უწყეტი პროფესიული განვითარების მიზნით, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, უსდ-ს მხრიდან საჭიროა გააქტიურება, პერსონალის საერთაშორისო მობილობის გაზრდა, საერთაშორისო კონფერენცებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის, ამ მიზნით ახალი მექანიზმების შემუშავება და შესაბამისი საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უსდ-ს მიერ სამომავლოდ იგეგმება პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებები საზღვარგარეთ, მათი პროფესიული განვითარების მიზნით. მნიშნელოვანია, უნივერსიტეტს გააჩნდეს ამ მიმართულებით კონკრეტული ხედვა. კერძოდ, უსდ-ში არსებული ინტერნაციონალიზიის პოლიტიკისა და სტრატეგიულ გეგმის, უწყვეტი განათლების სამსახურის ამოცანების ეფექტურად განხოციელების მიზნით, ასევე უშუალოდ პერსონალის უწყვეტი პროფესიული

განვითარების მიზნით სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიურად შესრულების ადეკვატურ ინდიკატორებს. ამასთან უნდა შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები. სამეცნიერო საქმიანობის ფინანსურ რესურსთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული საგამომცემლო ხარჯი შეადგენს 14 000 ლარს, მთარგმნელობითი და სარედაქციო ხარჯი 11 000 ლარს, ხოლო კონფერენციებისა და მსგავსი აქტივობებისთვის გათვალისწინებულია 32 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ უსდ-ში მოქმედებს მცირე საგრანტო კონკურსი, რომელიც ითვალისწინებს საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ხარჯების ანაზღაურებას, თუმცა მხოლოდ განსაზღვრულ ბაზებში/რეიტინგებში ინდექსირებულ გამოცემებში. უსდ-ში ასევე მოქმედებს ფუნდამენტური კვლევების გრანტი, რომლის ფარგლებში 2019 წელს დაფინანსდა კვლევა იურიდიული ფაკულტეტიდან სახელწოდებით „ვალაუვალობის წარმოების თავისებურებები ვალაუვალობის რეფორმის ჭრილში.“ უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტით, საგამომცემლო ხარჯი არის 3000 ლარი, ამასთან არ არის გათვალისწინებული სარედაქციო ხარჯი, ისევე როგორც კონფერენციების და სხვა მსგავსი სამეცნიერო აქტივობების ხარჯი. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობ ფინანსურ რესურსებთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულეტეტის ბიუჯეტით ქვეყნის გარეთ მივლინების დაფინანსებისათვის გამოყოფილი რესურსი, კერძოდ, ფაკულტეტის ბიუჯეტის მიხედვით, სამივლინებო ხარჯი ქვეყნის გარეთ, 2020 წლისათვის შეადგენს 6000 ლარს, ხოლო პროგრამის ბიუჯეტით სამივლინებო ხარჯი გათვალისწინებული არ არის. თუმცა უნივერსიტეტში მოქმედებს სამგზავრო გრანტის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის დაფინანსებას, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა თუ სხვა ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ აკადემიური პერსონალის რანგირების წესი ○ სამეცნიერო კვლევების დემარტამენტის დებულება ○ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქცია ○ ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის დებულება ○ ინტერნაციონალიის პოლიტიკა და სტრატეგიული გეგმა. ○ უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება
რეკომენდაციები: გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, ასევე უწყვეტი განათლების სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, უსდ-ს გააჩნდეს, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უსდ-ს ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურით, კერძოდ:

· სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიებით და საკონფერენციო დარბაზებით;

· საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერით აღჭურვილი 4(ოთხი) კომპიუტერული კლასით;

· უსდ უზრუნველყოფილია სპეციალურად აღჭურვილი სასამართლო დარბაზით იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩასატარებლად;

· იურიდიული კლინიკით;

უსდ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. დაინტერესებულ პირს (სტუდენტს, პერსონალს) შეუძლია ისარგებლოს მისთვის საინტერესო წიგნებით, საინფორმაციო მასალით; გადაიღოს ასლი; ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემით; თუ შესაძლებელია ბიბლიოთეკიდან კონკრეტული წიგნის გატანა, პირმა შეიძლება წიგნი გაიტანოს არაუმეტეს 10 დღის ვადით.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა „CODEX". სტუდენტს საშუალება აქვს ასევე ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ქსეროასლებითა და კომპაქტდისკებით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" - eIFL მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:· საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით (დაახ. 3,5 მლნ. ერთეული) - http://www.sciencel; საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის წიგნადი ფონდით (Cambridge University Journals) - http://www.journals.cambridge.org; Ebrary – მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს დარგების ფართო სპექტრს, მათ შორის სამართალს - http://www.Ebrary.org; EBSCO Publishin; ასევე, Hein Online Legal Classic.

დისტანციური სწავლების პროცესში უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ პლატფორმებსა და ელექტრონულ საშუალებებს: Cisco Webex, Camtasia, Moodle, Goni - სწავლის ელექტრონული სისტემა, ეკო სისტემა UNI-Voice და სხვა.

სინქრონული კურსები, რომლებშიც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ერთდროულად მონაწილეობენ, „ელექტრონული სწავლების წესის“ მიხედვით, ტარდება ვიდეო/ვებ-კონფერენციებით და ა.შ. ასინქრონული ონლაინ კურსები კი, შეიძლება იყოს ბეჭდვით მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები ელექტრონული სწავლების მართვის სისტემების გამოყენებით.

უსდ-ში მოქმედებს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა.

უსდ-ს წვდომა აქვს ქართული სამეცნიერო ნაშრომების ელექტრონულ არქივზე, სადაც პლაგიატზე შემოწმებული ნაშრომები თავსდება.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, სასამართლოებთან, საადვოკატო ფირმებთან, კომპანიებთან.

უსდ-ში მოქმედებს იურიდიული კლინიკა, რისთვისაც გამოყოფილია კეთილმოწყობილი ოთახები.

ელექტრონულ კატალოგში ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, რამდენიმე საგნის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მოვიძიეთ. აღმოჩნდა, რომ ელექტრონულ კატალოგში მითითებულია ერთ-ერთი საგნის (საერთაშორისო საჰაერო სამართალი) ძირითადი ლიტერატურის (დ. გეფერიძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბ., 2012.) ძველი რედაქცია. თუმცა ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ამავე წიგნის უახლესი რედაქცია ბიბლიოთეკაში ჰქონდათ და ვიზუალურადაც გვაჩვენა. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ გადაიხედება ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ კატალოგში დაცული წიგნის ფონდი და შესაბამისად განახლდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზუალური დათვალიერებით (პროგრამა ზუმის მეშვეობით)
- ბიბლიოთეკის დებულება
- ელექტრონული სწავლების წესი
- პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი
- ელექტრონული სწავლების წესი
- უსდ-ს ვებ-გვერდი http://www.ciu.edu.ge/

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერებაზე დაყრდნობით, კარგი იქნება თუ გადაიხედება ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ კატალოგში დაცული წიგნის ფონდი და შესაბამისად განახლდება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტის გარდა, უსდ-ს გააჩნია პროგრამის ბიუჯეტიც. პროგრამის ბიუჯეტით ისევე როგორც ფაკულტეტის ბიუჯეტით გათალისწინებული რესურსი რეალისტურია, თუმცა საჭიროებს რამდენიმე კომპონენტში ხარჯების გაზრდას, მაგალითად, უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი

რესურსის გაზრდა, საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსებისა თუ ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა, საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსების, ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტის (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა) მიხედვით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპულ და ეროვნულ სააგენტოებში შემუშავებულ სტანდარტებსა და ძირითად ვექტორებს/მიმართულებებს. აღნიშნული დოკუმენტი გამომდინარეობს და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, მისიასთან და მოიცავს შვიდ ძირითად მიმართულებას (იხ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები (იხ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება), ასევე მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში (მაგ: იხ. ხუსის მიერ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრი). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტის (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება) მიხედვით ირკვევა, რომ უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ პრინციპს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება“ დოკუმენტიდან ირკვევა პროგრამის დამტკიცების წესი, რომლის მიხედვითაც შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ოქმში, რის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ (იხ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #61, 10 სექტემბერი, 2020; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #75, 10.09.2020)

პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მისი ფუნქციონირების პროცესში ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება; შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება პროგრამის მოდიფიცირება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში აისახება არა მარტო სასწავლო კურსების, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის პროცესშიც. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის ფაკულტეტთან ერთად სისტემატურად აწარმოებს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით (აღნიშნულის თაობაზე ხდება მხოლოდ ლექტორის ინფორმირება სემესტრის დასაწყისში, თუმცა უშუალოდ როდის და რომელ ლექციაზე ამას არ ატყობინებენ, სტუდენტებს წინასწარ ამის თაობაზე არ მიეწოდებათ ინფორმაცია). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა მიერ გავლილი სასწავლო კურსის შეფასება (გამოკითხვა) ხორციელდება სემესტრის ბოლოს, ფინალური გამოცდის შემდეგ, ეს პროცესი სავალდებულოა, რადგან სხვაგვარად, სტუდენტები ვერ აირჩევენ საგანს მომდევნო სემესტრში.
ინტერვიუებისას დამსაქმებლებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ უნივერსიტეტის ლექტორებს, აღნიშნეს რომ მათი მოთხოვნა გამოიხატება ძირითადად იმაში რომ უნივერსიტეტს რჩევას აძლევენ მეტი პრაქტიკული საგნების დაგეგმვაში, რასაც უნივერსიტეტი მაქსიმალურად ითვალისწინებს. ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუებიდან - სტუდენტებთან, ლექტორებთან ინტერვიუებისას, ერთ-ერთმა

ლექტორმა თავად აღნიშნა, რომ სტუდენტების შეფასების შემდგომ გამოიკვეთა რომ მეტი პრაქტიკა - კაზუსები, იმიტირებული ქმედებები მოითხოვეს სტუდენტებმა და მოხდა ინდივიდუალური კომუნიკაცია ადმინისტრაციის მხრიდან და შესაბამისად გაითვალსწინა ლექტორმა მათი შენიშვნები. ასევე, მეორე ლექტორმა დააფიქსირა, რომ სტუდენტების შეფასების შემდგომ გამოიკვეთა რომ პრეზენტაციები სურდათ სასამართლო დარბაზში და ესეც ადმინისტრაციის მხრიდან მასთან კომუნიკაციის შემდგომ, ლექტორის მიერ გათვალისწინებულ იქნა. ასევე, მესამე ლექტორმა აღნიშნა, რომ საგნის სირთულიდან გამომდინარე საგანი ასწავლა „ცოტა ზედაპირულად", რადგან ეშინოდა სტუდნტებს ვერ დაეძლიათ, თუმცა სტუდენტებმა ეს „არ აპატიეს" და სტუდენტების უკუკავშირით ე.წ. „ზედაპირულობა" მაშინვე გამოასწორა მეორე სემესტრში. ასევე, ლექტორებმა აღნიშნეს - სტუდენტების შეფასების შედეგად გამოირკვა, რომ ერთ-ერთ ლექტორს ჰქონდა პრობლემა, ადმინისტრაცია ინდივიდუალურად გაესაუბრა, მაგრამ პრობლემა კვლავ გაგრძელდა (ვერ/არ აღმოიფხვრა) და შესაბამისად უნივერსიტეტი იძულებული გახდა შეეწყვიტა კონტარქტი, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ მსგავსი პრობლემების დროს პირდაპირ არ ხდება შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა. ეს არის უკიდურესი ღონისძიება, მხოლოდ მას შემდეგ რაც პრობლემის გამოსწორება ვერ ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ჩატარდა დისტანციური სწავლების ხარისხის კვლევა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუებით, საიდანაც გაირკვა რომ ერთ-ერთი ლექტორი ონლაინ ლექციების პროცესის თავის საუკეთესოდ გართმევისთვის საპატიო ჯილდოთი დააჯილდოვეს. ასევე დადგინდა, რომ განსაკუთრებით ასაკოვან პროფესორ-მასწავლებლებს პრობლემა აქვთ ტექნოლოგიურ პროგრამებთან მიმართებაში, (მაგ: ქულის შეყვანა, მასალის ატვირთვა), გარდა იმისა რომ აღნიშნულ კატეგორიას ჩაუტარდათ ტრეინინგები, უნივერსიტეტი დაეხმარა - „მიუჩინა ე.წ. ასისტენტები" (ადმინისტრაციის თანამშრომლები) და აღნიშნული პრობლემები მოგვარდა, რის გამოც პროფესორები ძალიან მადლიერები არიან, რაც აღნიშნეს კიდეც ექპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას, განსაკუთრებით ხაზი გაესვა ადმინისტრაციის მხრიდან ასისტირებას, რომელიც გამოიხატება თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კომპიუტერული პროგრამების ათვისებაში.

ვიზიტის დროს, ინტერვიუებისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ე.წ. „სტუდენტის ხმა". იგი წარმოადგენს ე.წ ყუთს, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტში ლიფტის გვერდით უჯრედში (ასე აღწერეს შეხვედრაზე, თუმცა ექსპერტებმა ადგილზე ვერ ნახეს არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე), რომელშიც სტუდენტს სახელის და გვარის მითითების გარეშე (ანონიმურად) შეუძლია განათავსოს თავისი მოთხოვნა, განცხადება, პრეტენზია, საჩივარი. ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული ყუთის გახსნა ხდება ყოველი კვირის ბოლოს და შესაბამისად გაანალიზება და შემდგომში გათვალისწინება. როგორც ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ეს მეთოდი საკმაოდ წარმატებულია, რადგან სტუდენტს მეტი დამაჯერებლობა აქვს, რომ დაცულია მისი ანონიმურობა. სტუდენტებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ აღნიშნული „ყუთი" წარმოადგენს მათ მოთხოვნებზე რეაგირების სწრაფ და ეფექტურ საშუალებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასების ანგარიში) ირკვევა, რომ გამოკითხვის შედეგების საფუძველზე საჯაროდ ხდება პროფესორ–მასწავლებელთა რეიტინგების გამოქვეყნება, რაც მათი კვალიფიკაციისა და მუშაობის შეფასების საშუალებას იძლევა, თუმცა აღნიშნული ინტერვიუებისას წარმოდგენილ ლექტორებს არ დაუდასტურებიათ, რადგან პირადად ისინი არ მოხვედრილან ამ რეიტინგში. ასევე, არც სტუდენტებს ახსენდებათ „განცხადების გამოკვრა" რეიტინგულად მაღალ ლექტორზე, თუმცა სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რეიტინგულად მაღალი ლექტორის ვინაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ვიზიტისას განმარტება გააკეთა ხარისხის ხელმძღვანელმა,

რომელმაც ახსნა რომ საჯაროდ არ ხდება გამოქვეყნება (ტექნიკური ხარვეზია), ხარისხის სამსახური ფაკულტეტთან ერთად აფასებს და წყვეტს ლექტორების რეიტინგულ საკითხს. ასევე, წახალისების სახით შეიძლება უნივერსიტეტმა პრემიის სახით მისცეს მაღალი რეიტინგის ლექტორს დანამატი ხელფასზე. ასევე, საახალწლო ღონისძიებებზე ხდება რეიტინგული ლექტორების დაჯილდოება და არა მარტო მათი. თუმცა ონლაინ რეჟიმშიც აპირებენ ამის გაკეთებას, ცხადია სხვანაირი ფორმით. როგორც ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, უკვე ჩატარდა გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში და 10 ლექტორი რექტორმა დააჯილდოვა მადლობის სიგელით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან (იხ.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შედეგების შეფასება, 2019 წ) ირკვევა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს ჩატარდა კვლევა. ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის შედეგების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და სტრუქტურის გასავითარებლად. აღნიშნული მიზნიდან გამოდინარე შემუშავდა კითხვარი, რომლის საშუალებითაც გამოიკითხა ყველა ის დეპარტამენტი და თანამშრომელი, რომელთა საქმიანობაშიც ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასდა 30 თანამშრომლის მიერ, 15 მათგანი გახლდათ პირველი კატეგორიის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელი (პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, უწყევტი განათლება), ხოლო დანარჩენი 15 სტრუქტურული ერთეულების წამომადგენლები. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მართვის სამსახურმა რეკომენდაცია მისცა ხარისხის სამსახურს, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: განახორციელოს მეტი შეხვედრა სტრუქტურულ ერთეულებთან მათი საქმიანობის გადაკვეთის წერტილების განხილვასთან დაკავშირებით და მეტი აქტივობა როგორც ადმინისტრაციული სამსახურების საქმიანობაში, ისე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამის მიმართულებში ჩართვის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და მისი მოდიფიცირების პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, იყენებს პროგრამის შეფასების უკვე არსებულ შედეგებს. თვითშეფასების დოკუმენტისა და ხარისხის მექანიზმების აღმწერი დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად განხორციელებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პრაქტიკაში კარგად ფუნქციონირებს. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება; ○ სამართლის ფაკულტეტის დებულება; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
○ ხუსის მიერ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრი.
○ დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
○ დეკანის მიერ პროგრამის დამხმარე პერსონალის შეფასება;
○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებით, 2020 მარტი;
○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შედეგების შეფასება, 2019 წ.
○ პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები (ანკეტა-კითხვარებით საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და ა.შ. შეფასების შესახებ);
○ სასწავლო კურსის სილაბუსების შეფასების შუალედური და საბოლოო ფორმა;
○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმი;
○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი;
○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;
○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #61, 10 სექტემბერი, 2020;
○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #75, 10.09.2020
○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. პროგრამას პირველადი აკრედიტაცია მიენიჭა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2012 წელს (გადაწყვეტილება #680; 20.11.2012). თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ გარე მექანიზმებს:

ა) ავტორიზაციას და აკრედიტაციას, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრი;

ο ბ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ, განმავითარებელ კოლეგიურ შეფასებას (იხ. გარე ექსპერტის (ანა ფირცხალაშვილის) დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 2020წ);

.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების პერიოდში ახორციელებს ექსპერტების მოწვევას და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება; პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები, უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ამოქმედებისთანავე იქნა გათვალისწინებული. უნივერსიტეტი

ორიენტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად სტანდარტების ცვლილებების მიხედვით სწრაფად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, დანართი#3, 19.11.2012;
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს. დღვანდელი მდგომარეობით, პროგრამაზე 456 აქტიური სტუდენტი სწავლობს და პროგრამას 603 კურსდამთავრებული ჰყავს. აკრედიტაციის ვიზიტისას გამოვლინდა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე საგნების დამუშავების პროცესში. როგორც წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან ირკვევა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. უნივერსიტეტი სტუდენტებს ყოველი სემესტრის დასაწყისში (ეს ირკვევა თვთშეფასების ანგარიშიდან), გამოკითხვის გზით, ყოველთვის აძლევს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას როგორც პროგრამასთან, ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესორ–მასწავლებლებთან დაკავშირებით. თუმცა დაკორექტირდა ინტერვიუს პროცესში და რომ სტუდენტთა მიერ შეფასება ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს (და არა დასაწყისში, ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს), ფინალური გამოცდის შემდგომ. ეს შეფასება (გავლილი სასწავლო კურსის) სავალდებულოა, რადგან შეფასების გარეშე სტუდენტები ვერ აირჩევენ საგანს მომდევნო სემესტრში. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძვანელმა დააკორექტირა ტექნიკური ხარვეზი/უზუსტობა და აღნიშნა, რომ სემესტრის დასაწყისში ხდება შეხვედრა პირველკურსელებთან საინფორმაციო, საორიენტაციო მიზნით. პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით ახდენს: 1. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ყოველი სემესტრის ბოლოს; 2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასებას; 3. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას; 4. პოტენციურ და რეალურ დამსაქმებელთა გამოკითხვას; 5. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასებას. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს გამოკითხვის ფორმები და შეფასების შედეგების ანალიზი წლების მიხედვით: 2016-2017, 2017-2018, 2018-2019წ. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას აკეთებს ფაკულტეტის დეკანიც. უნივერსიტეტს ასევე

წარმოდგენილი აქვს ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოებული შეფასებები აკადემიური და მოწვეული, ასევე პროგრამის დამხმარე პერსონალის მიმართ.
უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების პროცესის შემდეგი ეტაპები:
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემების დამუშავებას, გაანალიზებას და შეფასებას, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმები.
- პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს პროგრამის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირებასთან დაკავშირებით წინადადებებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, დეკანი კი ფაკულტეტის საბჭოს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა და სილაბუსები, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორები ახდენენ გაუსის მეთოდით სტუდენტის მიერ მიღწეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასებას. სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორების მიერ მიღებული შედეგების ანალიზს აკეთებენ პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
- პროგრამებსა და სილაბუსებს ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებს, სადაც ხდება პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების, ცვლილებების მიზნისა და ცვლილებების შედეგების აღწერა, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასაც, რისთვისაც: ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აღმოჩენილი პრობლემების მოგვარებისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია შეისწავლოს დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები. მიზეზების დადგენის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია თავისი რეკომენდაციებით დაეხმაროს პროგრამის ხელმძღვანელს, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიურობის გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და ანალიზი; ○ გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება; ○ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში 2017 და 2019 წ. ○ გამოკითხვის შედეგების ანალიზი 2016-2017, 2017-2018, 2018-2019წ; ○ ხუსის მიერ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრი. ○ დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; ○ დეკანის მიერ პროგრამის დამხმარე პერსონალის შეფასება; ○ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში. ○ აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 62 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო მესხიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნონა ზუბიტაშვილი

ქეთევან ჩეკურიშვილი

ნინო ბოგვერაძე